

2016 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

გაწვევის განყოფილება

2016 წლის განმავლობაში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა 45 წვევამდელით და გაწვეული იქნა 65 წვევამდელი;

გეგმით: ჩაერიცხა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში- 13

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში-17

იუსტიციის ჯარში-32

იუსტიციის ჯარში-36

თავდაცვის ჯარში (არა გეგმიური) 10

თავდაცვის ჯარში-12

სულ: 55 წვევამდელი

სულ: 65 წვევამდელი

არაგეგმიური გაწვევა

შ.ს.ს.ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხული იქნა -15 წვევამდელი

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაერიცხა - 2 წვევამდელი

2016 წლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გატარდა 678 წვევამდელი.

სამხედრო ვაღდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადება მიეცა 381 წვევამდელს.

სამხედრო სამედიცინო კომისიის მიერ სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულად ვარგისად ცნობილი იქნა 64 წვევამდელი, ხოლო დროებით არავარგისად 29 წვევამდელი.

სამხედრო ვაღდებულებისა და სამხედრო სამსახურის შწესახებ კანონის მ-21:პ-3-ის საფუძველზე მეორე კატეგორიის რეზერვში გადარიცხულ იქნა 328 წვევამდელი (ზღვრული ასაკი).

საანგარიშო წლის განმავლობაში გაიცა 151 ცალი წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

მომზადდა ანგარიში 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენად შესაბამისი ფორმების მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში 18 დან-27 წლამდე კონტიგენტთა (წვევამდელთა) რაოდენობა შეადგენს 2774 წვევამდელს, აქედან გაწვევას ექვემდებარება 1509 ხოლო გადავადებას 1265.

გაწვევის სამსახურში წარმოებაშია მოქმედი და არქივით გათვალისწინებული 142 საქმე.

წლის განმავლობაში კორესპოდენციით შემოსულია 414 დოკუმენტი და გაცემულია 187 დოკუმენტი.

სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოსულია 27 წლამდე წვევამდელთა 43 და გადაგზავნილია 19 პირადი საქმე.

გარდა ამისა სისტემატიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოქალაქეთა მომსახურების მიზნით.

სამობილიზაციო განყოფილება

2016 წლის განმავლობაში მობილიზაციის განყოფილებაში შესრულებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები :

აღრიცხვაზე აყვანილი იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებული პიროვნებები და მათზე გაიცა რეზერვიზტის შესაბამისი მოწმობა- 82 ცალი

შესაბამის ბრძანებათა გათვალისწინებით აღრიცხვაზე აყვანილი იქნა და შეიქმნა როგორც სამხედრო სააღრიცხვო ასევე ანბანური ბარათები 1989 წელს დაბადებულ ზღვრულ ასაკს მიღწეულ სამხედროვალდებულ პირებზე.

ასაკობრივი ზღვრებისა და კატეგორიების მიხედვით დამუშავდა სამხედრო სააღრიცხვო ბარათები, საჭიროების მიხედვით მათში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები .

მოძიებულ იქნა სათანადო მასალები, შეიქმნა და გაერთიანებულ შტაბ j-1-ში გადაიგზავნა სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულ პირთა პირადი საქმეები.

კანონმდებლობის შესაბამისად აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი ის რეზერვისტები რომელთაც შეუსრულდათ სათანადო ასაკობრივი ზღვარი.

ცვლილებათა გათვალისწინებით მოწესრიგდა სამობილიზაციო განყოფილების კარტოთეკა.

საჭირო საბუთების მოსაძიებლად მომსახურეობა გაეწია სამამულო ომის მონაწილეთა ოჯახის წევრებსა და საპენსიო ასაკს მიღწეულ პირებს.

მიმდინარეობდა საჭირო და დროული რეგირება განყოფილებაში შემოსულ კორესპოდენციებზე.

ამჟამად სამობილიზაციო განყოფილებაში ირიცხება 27დან -42 წლამდე 5207 რეზერვისტი.

2016 წლის საგაზაფხულო გაწვევა

2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები,კერძოდ:

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 02 ივნისის N247 ბრძანებულების დებულების თანახმად მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიზნით,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დადგინდა 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სია.

ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა მიმდინარეობდა 2016 წლის 02 თებერვლიდან 2016 წლის 3 აპრილმდე,გრაფიკით განსაზღვრული დროით.სიით წარმოდგენილ 347 ჭაბუკიდან აღრიცხვაზე აყვანილ 417 ჭაბუკი, შეიკერა 417 პირადი საქმე.შეიქმნა 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ელექტრონული ბაზა,ყველა პირადი მონაცემებით.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მზადება სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ.დგინდებოდა გასაწვევი კონტიგენტი,აგრეთვე მოსალოდნელი დროებით და შეზღუდულად ვარგისი კონტიგენტის დადგენა ,მათი ოჯახური მდგომარეობის შესწავლა,ადმინისტრაციულ ერთეულებში მისვლა და ა.შ.

წვევამდელთა გამოსამახებლად დაიწერა 1420 უწყება.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N46 (2016 წლის02 თებერვალი ,ქალაქი თბილისი) გაწვევა დაიწყო 2016 წლის 13 თებერვლიდან 2016 წლის 30 ივნისამდე და გასაწვევი კონტიგენტთა რაოდენობა განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის:

1.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფში 5 წვევამდელი

2.საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვის და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამსახურში 32 წვევამდელი.

საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში გადაყვანილი იქნა 168 წვევამდელი.აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაერიცხა:

გეგმით:

ჩაერიცხა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში-5

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში-8

იუსტიციის ჯარში-32

იუსტიციის ჯარში-36

თავდაცვის ჯარში (არა გეგმიური) -10

თავდაცვის ჯარში-12

სულ: 37 წვევამდელი

ჩაერიცხა-56 წვევამდელი

აქედან გამომდინარე გეგმა შესრულდა 151 %-ით.

არაგეგმიური გაწვევა:

შ.ს.ს.ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხა -10 წვევამდელი

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაერიცხა-1 წვევამდელი

„სამხედრო ვალდებულებუისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე ,30-ე მუხლებით გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან მიეცა 216 წვევამდელს.

173 წვევამდელი ზღვრული ასაკის შესრულების გამო გადაირიცხა მეორე კატეგორიის რეზერვში.

მომზადდა ანგარიში 2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენად, შესაბამისი ფორმების მიხედვით.

2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში 27 წლამდე კონტიგენტთა რაოდენობა შეადგენდა 2612 წვევამდელს, აქედან გაწვევას ექვემდებარებოდა 1343 წვევამდელი, ხოლო გადავადებას 1269 წვევამდელი.

გაწვევის სამსახურში წარმოებაში იყო მოქმედი და არქივით გათვალისწინებული 142 საქმე. კორესპოდენციის სახით გავიდა 111 და შემოვიდა 257 დოკუმენტი, რომელიც შესრულებულია.

გარდა ამისა ყოველდღიურად სრულდებოდა მიმდინარე სამუშაო მოქალაქეთა მომსახურების მიზნით

2016 წლის საშემოდგომო გაწვევა

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობდა 2016 წლის 14 აგვისტოდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე (საქართველოს მთავრობის დადგენილება N349 , 2015 წლის 28 ივლისი, ქალაქი თბილისი)-მიხედვით..

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა :

საქართველოს შინაგან საქმეთა გასამხედროებულ ქვედანაყოფში- 8 წვევამდელით.

საშემოდგომო გაწვევის პერიოდში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში ჩვენს მიერ გადაყვანილი იქნა 109 წვევამდელი. აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩაერიცხა:

საქართველოს შინაგან საქმეთა გასამხედროებულ ქვედანაყოფში

გეგმით - 8 წვევამდელი. ჩაერიცხა- 9 წვევამდელი

საშემოდგომო გეგმა შესრულდა 112 %-ით.

არაგეგმიური გაწვევა:

შსს ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაერიცხა- 5 წვევამდელი.

სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახური- 1 წვევამდელი

„სამხედრო ვალდებულებულისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე ,30-ე მუხლებით გადავადება სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან მიეცა 178 წვევამდელს.

155 წვევამდელი ზღვრული ასაკის შესრულების გამო გადაირიცხა მეორე კატეგორიის რეზერვში.

მომზადდა ანგარიში 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარსადგენად,შესაბამისი ფორმების მიხედვით.

2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში 27 წლამდე გაწვევსა დაქვემდებარებულ კონტიგენტთა რაოდენობა შეადგენდა 1509 წვევამდელს.

გაწვევის სამსახურში წარმოებაში იყო მოქმედი და არქივით გათვალისწინებული 142 საქმე.კორესპოდენციის სახით გავიდა 19 და შემოვიდა 43 დოკუმენტი,რომელიც შესრულებულია.

გარდა ამისა ყოველდღიურად სრულდებოდა მიმდინარე სამუშაო მოქალაქეთა მომსახურების მიზნით